

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და
განვითარების დებულება, დანართი №06

ახალი რედაქცია დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება №01-03 10.01.2023

რექტორი  პ. ხვედელიძე



ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების
წესი

ნდ №2-030101-01/06

ბათუმი

2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ (შემდგომში - წესი) შემუშავებულია განათლების სფეროში მოქმედი საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) შინაგანაწესის და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულების საფუძველზე;
2. წინამდებარე წესი არეგულირებს ბნსუ-ში ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (შემდგომში - ინდივიდუალური გეგმა) შემუშავებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს;
3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, რეგულირდება ბნსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დებულებით, შინაგანაწესით, შიდასაუნივერსიტეტო აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
4. ბნსუ უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას, მათ შორის, ვებ-გვერდის მეშვეობით. ბნსუ-ს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლები და პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირები ვალდებული არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შესაძლოა წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ წინამდებარე წესით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის საფუძვლები

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლის შესაძლებლობა ბნსუ-ს მიერ განიხილება როგორც სტუდენტთა უფლებების დაცვის, სოციალური მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მექანიზმი;
2. ბნსუ-ში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს:
 - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისა და შეფასებისას;
 - არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, გარკვეული დროით საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას (ინდივიდუალურ გეგმას).
3. ბნსუ-ში ზემოთ მითითებულ მიზეზებში მოიაზრება: ხანგრძლივი ავადმყოფობა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ხანგრძლივი მკურნალობის საჭიროება და შრომისუუნარობა, ორსულობა, მშობიარობა და ბავშვის მოვლა, ოჯახის ავადმყოფ წევრზე მურვეობა, საზღვაო რეისში გასვლა/რეისიდან დაბრუნება, ბნსუ-ში სწავლის პარალელურად მუშაობა, ბნსუ-ს სახელით/თანხმობით სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა, ასევე სხვა ობიექტური გარემოებები, რომელთა დადგომა, დაწყება და/ან დასრულება არ არის დამოკიდებული სტუდენტის ნებაზე. ზემოთ მითითებულის გარდა, ინდივიდუალური გეგმით სწავლის უფლება შეიძლება მიეცეთ სტუდენტებს, რომლებიც ავლენენ საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლის, სამეცნიერო-კვლევითი და ტექნიკური საქმიანობის განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარს;
4. ბნსუ-ში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტს (შემდგომში ყველა - სტუდენტი) უპირობოდ ეძლევათ ინდივიდუალური გეგმით სწავლის შესაძლებლობა. ყველა დანარჩენი შემთხვევა განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად;
5. ზემოთ მითითებულ შემთხვევებში ინდივიდუალური გეგმით სწავლა არ იწვევს სწავის საფასურის ოდენობაში და გადახდის წესში ცვლილებებს.

მუხლი 3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ხანგრძლივობა

1. ინდივიდუალურია სასწავლო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლას მისი შინაარსის ინდივიდუალიზებას და კონკრეტული სტუდენტის თავისებურებისა და საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებას;
2. ინდივიდუალური გეგმა არის სამუშაო დოკუმენტი, რომელიც შემუშავებულია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის საფუძველზე. მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შესასწავლი სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებს და ადგენს პროგრამის კომპონენტების შესწავლის ვადებს, სტუდენტის სასწავლო დატვირთვას, ინფორმაციას პროგრამის თითოეული კომპონენტის შეფასების კომპონენტებისა და შეფასების (ასევე, დამატებითი შეფასების) ვადების შესახებ;
3. ინდივიდუალური გეგმის ერთ-ერთი სახეობაა გეგმა, რომელიც შემუშავდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან განათლების იმავე საფეხურის ბნსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა; ბ) შიდამობილობით განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა; გ) სტუდენტის სტატუსის აღდგენა (თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემდგომ შესაბამისმა საგანმანათლებლო პროგრამამ განიცადა არსებითი ცვლილებები); დ) ინტენსიური სწავლების კურსი; ე) პროგრამის კომპონენტის განმეორებით შესწავლა (უარყოფითი შეფასების (F) მიღების შემთხვევაში ან სტუდენტის სურვილით - მიღწეული შედეგის გაუმჯობესების მიზნით). მითითებულ შემთხვევაში არ არის საჭირო რაიმე დამატებითი შეთანხმების გაფორმება, რადგან ზემოთ მითითებულ „ა“-„გ“ შემთხვევებში სტუდენტი ეცნობა შესაბამის დასკვნას და ხელმოწერით ადასტურებს თანხმობას, ხოლო „დ“-„ე“ შემთხვევებში სტუდენტი თავად რეგისტრირდება პროგრამის კომპონენტზე.
4. ინდივიდუალური გეგმა შემუშავდება ერთი სემესტრის ან გამონაკლის შემთხვევებში - 01 აკადემიური წლის ვადით.
5. ინდივიდუალური გეგმა შემუშავდება აკადემიური წლის/სემესტრის დაწყებამდე;
6. სემესტრის დაწყების შემდეგ წინამდებარე წესით (მ. 2, პ. 3.3) გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია ითხოვოს ინდივიდუალური გეგმით სწავლის გაგრძელება. ინდივიდუალური გეგმა შემუშავდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის დაჩენილ ვადაში შესაძლებელია პროგრამის კომპონენტებით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა;
7. ინდივიდუალური გეგმის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს იმ სემესტრის ხანგრძლივობას, რომლისთვისაც ეს გეგმა შემუშავდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ვადები განისაზღვრება შემდეგი წესის დაცვით:
 - სასწავლო კურსი: საკონტაქტო მეცადინეოები, სემესტრული მიმდინარე შეფასებები და შუალედური გამოცდა უნდა ჩატარდეს დასკვნითი გამოცდების პერიოდის დაწყებამდე. სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი დასკვნითი გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში დამატებითი გამოცდის ჩატარება და დამატებით გამოცდაზე სტუდენტის შეფასება და შედეგის გამოცხადება;

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №06			
ნდ №2-030101-01/06	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	2-7

- პრაქტიკა: სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი საჯარო დაცვის/გამოცდის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში დამატებითი დაცვის/გამოცდის ჩატარება და დამატებით დაცვაზე/გამოცდაზე სტუდენტის შეფასება და შედეგის გამოცხადება;
 - საბაკალავრო ნაშრომი: სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი საჯარო დაცვის შედეგის გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში დამატებითი დაცვის ჩატარება და დამატებით დაცვაზე სტუდენტის შეფასება და შედეგის გამოცხადება;
 - სამაგისტრო ნაშრომი: სემესტრის დასრულებამდე დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი საჯარო დაცვის ჩატარება, შეფასება და შედეგის გამოცხადება.
8. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლების და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური გეგმების შესრულებაზე დახარჯული დრო ჯამში შეიძლება განსხვავდებოდეს საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილი ხანგრძლივობისაგან;
9. სტუდენტის ინდივიდუალური გეგმა/გეგმების ერთობლიობა უნდა იძლეოდეს მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამის გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების და კრედიტების რაოდენობების ჯამს;
10. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა შესრულებულად ითვლება სტუდენტის მიერ ამ პროგრამის საფუძველზე შექმნილი ინდივიდუალური გეგმის/გეგმების შესრულების შემთხვევაში.

მუხლი 4. გადაწყვეტილება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე გადაყვანის შესახებ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და დამტკიცება. შეთანხმება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ

1. ინდივიდუალური გეგმით სწავლის მიზნით სტუდენტმა (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) აკადემიური წლის/სემესტრის დაწყებამდე განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანს (შემდგომში - ფაკულტეტის დეკანი). განცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ ინდივიდუალური გეგმით სწავლის საჭიროებას. განცხადების და თანდართული დოკუმენტების წარდგენისას სტუდენტმა (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა იხელმძღვანელოს ბნსუ-ში მოქმედი წესით (იხ. ბნსუ-ს შინაგანაწესი, განცხადებების წარდგენის წესი);
2. განცხადებას განიხილავს ფაკულტეტის დეკანი (საჭიროებისამებრ შეიძლება კონსულტანტირების მიზნით სპეციალური კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა). განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება ინდივიდუალური გეგმის შემუშავების და ამ გეგმაზე სტუდენტის გადაყვანის შესახებ, რომელიც ფორმდება ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით;
3. ინდივიდუალური გეგმა შემუშავდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაყრდნობით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიძლება და განახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი;
4. ინდივიდუალური გეგმის შემუშავების მიზნით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი (უძღვება ჯგუფის მუშაობას) და განმახორციელებელი. სტუდენტის სპეციფიკური შესაძლებლობების და საჭიროებების შესაბამისად მხარდაჭერის/ხელშეწყობის სერვისების და სწავლა-სწავლების სქემის/მეთოდოლოგიის (სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომის მექანიზმები, სხვ.) სწორად განსაზღვრის მიზნით ჯგუფის მუშაობაში შესაძლებელია მონაწილეობდეს სპეციალური კომპეტენციის მქონე პირი (ფსიქოლოგი, შესაბამისი სამედიცინო პროფილის ექიმი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სხვ.), რომლის მოსაზრებების გათვალისწინება სავალდებულოა. სტუდენტს (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - მის წარმომადგენელს) უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური გეგმის შედგენაში. სტუდენტს აქვს უფლება ინდივიდუალურ გეგმაში შეიტანოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი პროგრამის კომპონენტები (მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტის აკადემიური წლის განმავლობაში);
5. ინდივიდუალური გეგმის პროექტი გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოქმედ სტანდარტებთან და ბნსუ-ს წესებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, რის შემდეგ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული ინდივიდუალური გეგმის პროექტი გასაცნობად გადაეცემა სტუდენტს (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - მის წარმომადგენელს);
6. ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის განკარგულებით;
7. სტუდენტთან (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - მის კანონიერ წარმომადგენელთან) შეთანხმებას ინდივიდუალური გეგმის შესახებ (ინდივიდუალურ გეგმას) აფორმებს ფაკულტეტის დეკანი. ინდივიდუალური გეგმა ფორმდება 02 ფეხმძლვარად, საიდანაც ერთი გადაეცემა სტუდენტს (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - მის კანონიერ წარმომადგენელს), მეორე რჩება სტუდენტის პირად საქმეში. ინდივიდუალურ გეგმაზე გადაყვანილი სტუდენტის პირად ბარათში კეთდება ჩანაწერი „გადაყვანილია ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე-მდე“.

მუხლი 5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების ვალდებულება. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა. კონტროლი ინდივიდუალური გეგმის შესრულებაზე

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულების ვალდებულება მოქმედებს ინდივიდუალური გეგმის ვადის განმავლობაში;
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოიცავს: პროგრამის კომპონენტების (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, პრაქტიკა, სხვ.) ჩამონათვალს, ინდივიდუალური გეგმის კომპონენტების საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს, სწავლების ფორმას და ვადას, შეფასებების კომპონენტებს და ვადებს. ინდივიდუალურ გეგმაში პროგრამის კომპონენტების დასახელებები, მოცულობა კრედიტებში, წინაპირობები უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის იდენტური. განსხვავებული შეიძლება იყოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა (დასაშვებია, რომ ინდივიდუალური გეგმის კომპონენტებში იყოს გაზრდილი დამოუკიდებელი საათების რაოდენობა);
4. ინდივიდუალური გეგმით სწავლება მიმდინარეობს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის ფორმით. ლექციები, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობები, შუალედური და დასკვნითი შეფასებები (შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდის შემთხვევაში საგამოცდო ფურცელზე კეთდება ჩანაწერი „სწავლა მიმდინარეობს ინდივიდუალური გეგმით“) და ა.შ. ტარდება ინდივიდუალური გეგმის კომპონენტებისთვის შექმნილი სილაბუსების საფუძველზე. კონსულტაციებს, ლექციებს, ლაბორატორიულ/პრაქტიკულ მეცადინეობებს, სტუდენტების ნაშრომების შეფასებებს ახორციელებენ შესაბამისი სასწავლო კურსების/სხვ. განმახორციელებელი პირები;

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №06			
ნდ №2-030101-01/06	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	3-7

5. ინდივიდუალური გეგმით სწავლისას სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს ინდივიდუალური გეგმის ყველა მოთხოვნა, მათ შორის გათვალისწინებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობა. საპატიო მიზეზის გამო ინდივიდუალური გეგმით განსაზღვრული ვადები შეიძლება შეიცვალოს ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით;
5. ინდივიდუალური გეგმის ფარგლებში ჩაბარებული გამოცდების შედეგები ფორმდება ინდივიდუალური უწყისის სახით;
6. ინდივიდუალური გეგმა შესრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა გეგმით დადგენილ ვადებში შეასრულა გეგმის მოთხოვნები და გეგმის ყველა კომპონენტში მიიღო დადებითი შეფასებები და, შესაბამისად, კრედიტები;
7. ინდივიდუალური გეგმით დადგენილი მოთხოვნების და ვადების (მაგ., დავალებების ჩაბარება, გამოცდები, სხვ.) სისტემატური დარღვევის შემთხვევაში სტუდენტი კარგავს მომდევნო სემესტრის ინდივიდუალური გეგმით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები.

მუხლი 6. სპეციალური საჭიროების პირთა სწავლა-სწავლების და შეფასების თავისებურებები

1. სწავლა-სწავლების თავისებურებები - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების პროცესი წარმართება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით - სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროების შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ხდება სწავლა-სწავლების ისეთი მეთოდების შერჩევა და გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში, მათ შორის - სასწავლო ჯგუფის მუშაობაში, სტუდენტის თანაბარ ჩართულობას, პროგრამის შესწავლის შესაძლებლობას და სტუდენტის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებას. სწავლა-სწავლების პროცესში ინტენსიურად იქნება გამოყენებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რაც გულისხმობს დისტანციურ/ონლაინ სწავლების და კონსულტაციების მიღების შესაძლებლობას, ელექტრონულად, მათ შორის ელ.ფოსტის მეშვეობით, რელევანტურ ფორმატში (აუდიო/ვიდეო) სასწავლო, საინფორმაციო და სხვ. მასალების მიწოდება-მიღებას და ზიბლითუვის ელექტრონულ რესურსებთან წვდომას, შეფასებისას კომპიუტერული ტექნიკის და ნაბეჭდი ტექსტის აუდიოწაკითხვის სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გამოყენებას და სხვ.

2. შეფასების თავისებურებები - ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სტუდენტის მიმდინარე შეფასებები განხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებით, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებით. სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩევა შეფასების რელევანტური ფორმები (შეფასების კომპონენტები, მეთოდები, კრიტერიუმები) და ფორმატი, რომლებიც უზრუნველყოფს მიღწეული შედეგის დადგენის და სტუდენტის მიერ კომპეტენციების სრულად დემონსტრირების შესაძლებლობას. სტუდენტის საჭიროებების შესაბამისად შეფასების პროცესის ადაპტირებაში მოიაზრება: 1) მოდიფიცირებული საგამოცდო მასალების ხელმისაწვდომობა (მაგ., დავალებები აუდიო/ვიდეო ფორმატში, შეცვლილი (გაზრდილი) შრიფტით, ბრაილის შრიფტით, ნაბეჭდი ტექსტის აუდიოწაკითხვის სპეციალური კომპიუტერული პროგრამა); 2) წერის სხვადასხვა საშუალებების ხელმისაწვდომობა (კომპიუტერი, ტექსტური რედაქტორი, სხვ.); 3) ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა (ხმის გამამდიერებელი აპარატი, გამადიდებელი და/ან სხვა მოწყობილობა, გარდა მოხილური ტელეფონისა); 4) შეფასების ხანგრძლივობის გაზრდის შესაძლებლობა (საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მიეცემა დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად); 5) შეფასების ჩატარების ალტერნატიული ადგილის გამოყენების შესაძლებლობა (მაგ., შეფასება შეიძლება ჩატარდეს სხვა საგამოცდო ოთახში, თუ შეფასების ფორმატს შესაძლოს ხელი შეუშალოს სხვა სტუდენტებს); 6) შეფასების გადავადების შესაძლებლობა (შეფასებების ვადების გაზრდა, სხვა ვადაში დანიშვნა და სხვ.); 7) პრაქტიკული დახმარების მიღების შესაძლებლობა (დამხმარე პირი, მედ.მუშაკი, სხვ.); 8) სამედიცინო, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან/სხვ. საჭიროებების შემთხვევაში შეფასების პროცესში შესვენებების გამოყენების შესაძლებლობა (საშუალოდ 10 წუთი შეფასების ყოველი საათისთვის. ამ დროს დაუშვებელია საგამოცდო მასალაზე/საგამოცდო დავალებაზე მუშაობა, კონსულტაციების მიღება ან სხვა, რაც უშუალოდ დაკავშირებულია შეფასების პროცესთან). დაუშვებელია ისეთი განსხვავებული შეფასების ფორმების, კომპონენტების, მეთოდების, კრიტერიუმების და ფორმატის გამოყენება, რომლებიც არ გამოიმდინარეობენ სტუდენტის რეალური საჭიროებებიდან და უსაფრთხო დრო/განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებენ მას.

3. კონტროლი და სწავლა-სწავლების პროცესის კონტროლი - ინდივიდუალური გეგმის შესრულების კონტროლს ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. საჭიროებისამებრ შესაძლებელია სპეციალური კომპეტენციის მქონე სპეციალისტებმა (ფსიქოლოგი, ექიმი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, სხვ.) პერიოდულად შეისწავლიან სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა ხელშეწყობის მექანიზმების რელევანტურობას და შეიმუშავებენ მათი გაუმჯობესების რეკომენდაციებს და სისტემატურად ჩაატარებენ ტრენინგებს ბნსუ-ს პერსონალისთვის და ინდივიდუალური გეგმის განმახორციელებლებისთვის. მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სტუდენტის საჭიროებების და სპეციალისტების რეკომენდაციების გათვალისწინებით ბნსუ მოახდენს შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სასწავლო განრიგისა და ფორმატის კორექტირებას, გამოყენებული სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდების ეფექტიანობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში - შეცვლას.

4. სწავლა-სწავლების ხელშეწყობა - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო ჯგუფის კურატორი ვალდებული არიან უზრუნველყონ სტუდენტთან უკუკავშირი და შეისწავლონ მისი საგანმანათლებლო საჭიროებები. პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ინფორმირების ინდივიდუალური სასწავლო გეგმის, სწავლა-სწავლების ფორმატის, სწავლა-სწავლების მეთოდების, შეფასების თავისებურებების და წესების შესახებ, დაეხმაროს მას საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლისას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრაში, პერიოდულად გაესაუბროს სტუდენტს, შეამოწმოს სტუდენტის აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები, შეისწავლოს პრობლემების გამოწვევი მიზეზები, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან (საჭიროების შემთხვევაში - სპეციალისტებთან) კონსულტაციებით განსაზღვროს და ამოქმედოს პრობლემის გადაჭრის/არსებული ხელშეწყობის მექანიზმების ეფექტიანობის გაზრდის შესაძლებლობები. კურატორი ვალდებულია უზრუნველყოს სწავლების ინდივიდუალური განრიგის და ბნსუ-ში მოქმედი მარეგულირებელი წესების შესახებ სტუდენტის ინფორმირება, საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომა და ტექნიკური დახმარება, დაამყაროს სტუდენტთან ინდივიდუალური კომუნიკაცია და უკუკავშირი, მიაწოდოს და მიიღოს ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაეხმაროს წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში, თუ პრობლემის გადაჭრა სცდება მისი კომპეტენციის სფეროს - დროულად დაუკავშირდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის დეკანს, საჭიროების შემთხვევაში - ბნსუ-ს რექტორს და/ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელ-კანცლერს, სისტემატური კონტროლი გაუწიოს ბნსუ-ში არსებული გარემოსა და სტუდენტის საჭიროებების ურთიერთშესაბამისობას.

ძირითადი დოკუმენტი: „უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №06			
ნდ №2-030101-01/06	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	4-7

მუხლი 7. ინდივიდუალურ გეგმაში ცვლილებების შეტანა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გაუქმების მოთხოვნა

1. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია სტუდენტის (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) ან შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის დეკანის ინიციატივით (ცვლილებების განხილვა და დამტკიცება მიმდინარეობს მე-4 მუხლით დადგენილი წესით).
2. ინდივიდუალური გეგმის გაუქმება შესაძლებელია სტუდენტის მოთხოვნის საფუძველზე;
2. ინდივიდუალური გეგმა შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ შუალედური გამოცდების პერიოდის დაწყებამდე. სხვა ვადაში ინდივიდუალური გეგმის გაუქმება დაუშვებელია;
3. გადაწყვეტილება ინდივიდუალური გეგმის გაუქმების შესახებ მიიღება ფაკულტეტის დეკანის მიერ.

მუხლი 8. დანართები

1. წინამდებარე დოკუმენტის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე შინაგანაწესის საფუძველზე. წინამდებარე დოკუმენტის დანართია:
დანართი №01 - ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ფორმა).

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტს და ცვლილებებს დოკუმენტში ამტკიცებს ბნსუ-ს რექტორი;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/ წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებს;
3. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წინამდებარეული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცველად ან განმმარტებლად;
4. წინამდებარე დოკუმენტის რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დოკუმენტის სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
5. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
6. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი დოკუმენტის დამტკიცების შემთხვევაში.

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №06			
ნდ №2-030101-01/06	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	5-7



დანართი №01

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

მფ-2-№24-08-10.01.2023

სტუდენტი		ინდივიდუალური სასწავლო გეგმის	აკადემიური წელი	
ფაკულტეტი			სწავლების სემესტრი	
საგანმანათლებლო პროგრამა			შემუშავების თარიღი	
უმაღლესი განათლების საფეხური			მოქმედების პერიოდი	

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა												
№	პროგრამის კომპონენტის დასახელება	სტატუსი (სავალდ./ არჩევითი)	ECTS / სულ სთ	საკონტ. სთ.	თარი- ღი	დამოუკ. სთ.	შუალედური შეფასებები			დასკვნითი შეფასება		
							შეფასების მეთოდი	სთ.	თარი- ღი	შეფასების მეთოდი	სთ.	თარი- ღი
1.												
2.												
..												

ფაკულტეტის დეკანი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

პროგრამის ხელმძღვანელი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

სტუდენტი /
სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

შემაჯამებელი ინფორმაცია ინდივიდუალური გეგმის შესრულების შესახებ				
გეგმა შესრულებულია:	<input checked="" type="checkbox"/>	შესრულებული არ არის:	<input type="checkbox"/>	მიზეზი: _____

ფაკულტეტის დეკანი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

სტუდენტი /
სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი _____ სახელი, გვარი _____ ხელმოწერა _____ თარიღი _____

ძირითადი დოკუმენტი: „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, განხორციელების და განვითარების დებულება“ - დანართი №06			
ნდ №2-030101-01/06	ვერსია: 0	დამტკიცების აქტი: რექტორის ბრძანება №01-03, 10.01.2023	6-7



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი